საქართ. მემარცხენე სოც.-დემოკრატიული საშუალოშეცნო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღია დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება . მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6. ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 203

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი, აპრილის 29

1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-დემოკრატიული საერთაშორისო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გამოვა ერთ ფურცლად ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ბარბალე გრიგოლის ასული და ივანე გრიგოლის ძე მალალაშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი მამის

ექიმ გრიგოლ (გეგე) გრიგოლის ძის
მალალაშვილის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, აპრილის 30-ს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვის დასაწყისი 10 საათზე, პანაშვიდი 12 ს.

შაბათს, აპრილის 29-ს, საღამოს 6 საათზე ყოფილ ქალაქის გამგეობის შენობაში შესდგება

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა

დღის წესრიგი: 1. მოხსენება საფილტრაციო-განმტვირთავ კომისიის მუშაობის შესახებ, 2. ფუთობრივ და საავადმყოფო გადასახადის შესახებ, 3. ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება მალარიასა და სხვა ეპიდემიურ ავადმყოფობებთან ბრძოლის შესახებ, 4. წყალსადენის, ელექტროსადგურების და ტრამვაის საწარმოთა განყოფილების მუშაობის გეგმა, 5. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატების გამოცხადება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

ბერლინის შეთანხმება და მენშევიკები

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან შედეგები ბერლინში მომხდარ სამი ინტერნაციონალის კონფერენციისა. ჩვენი გაზეთი შეეცადა მკითხველი საზოგადოებისათვის მიეწოდებინა ამ კონფერენციის შესახებ გამოქვეყნებული ყოველი ცნობა და ის საერთო დეკლარაცია, რომელიც გამოდანილი იყო კონფერენციაზე სამივე ინტერნაციონალის დასტურითა და თანხმობით. როგორც ადნიშნული გვქონდა, მეორე ინტერნაციონალის მეთაურობით, ვანდერველდემ საქართველოს საკითხიც წამოაყენა, რამაც დიდი კამათი გამოიწვია კონფერენციაზე. თვითეულმა ინტერნაციონალმა საკითხის „სიმწვავე“ იცნო და მას სათანადო ანგარიში გაუწია. მეორე ინტერნაციონალის გმირები სცდილობდნენ საქართველოს საკითხი გამოეყენებინათ და ამით ხელი შეეწყოთ კონფერენციის ჩაშლისათვის. ბელგიის სამეფო მინისტრის მთელი ენერგია იქით იყო მიმართული, რომ პირნათლად აესრულებია გამარჯვებულ იმპერიალისტების დავალებანი და არაფერი ისეთი არ გამოეტანა კონფერენციას, რომელიც დამლუპველი იქნებოდა კაპიტალისტური ბატონობისათვის. ამ მიზნით მან არსებითად გაილაშქრა კომინტერნის წინადადების წინააღმდეგ, რომ გადასინჯულ ყოფილაყო ვერსალის სამშვიდობო პირობები და საერთაშორისო პროლეტარიატს თავისი შესაფერი დასკვნა გამოეტანა იმ ხელშეკრულების შესახებ, რომელმაც დაარღვია მთელი ევროპის ეკონომიური ცხოვრება და გასაჭანს არ აძლევს ომში დამარცხებულ მხარეებს თავისუფალი მოქმედებისათვის. ამავე მიზნით ე. ვანდერველდემ მეორე ინტერნაციონალის დავალებით უარი განაცხადა იმავე კომინტერნის წინადადებაზე, რომ გენუას კონფერენციის პროცესის დრო მოწვეულ ყოფილიყო საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია, რომელიც თავის შეხედულებას გამოიტანდა საერთაშორისო კრედიტალურ კითხვათა შესახებ და ასევე ეს ისევ ზეგავლენას მოახდენდა კაპიტალისტების კონფერენციაზე. აქაც „ვანდერველდეს თავისი გაიტანა და მათი დაჟინებული მოთხოვნით მუშათა კლასი უძლურია რაიმე საერთო აზრი გამოთქვამ იმ დიდი კითხვების შესახებ, რომელსაც ეხება გენუას კონფერენცია და ახალი ხანა უნდა დაიწყოს საერთაშორისო ურთიერთობაში.

ამ გვარად მთელი რიგი საერთაშორისო მნიშვნელობისა და ღირებულების კითხვები მოხსნილ იქმენა შეთანხმების პროგრამიდან, რაც დარჩა და რის გარშემოც მოახერხეს სოციალისტურმა ინტერნაციონალმა „უცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს და ის ერთგვარად ჩანასახი არის, რომელზედაც უნდა გამაგრდეს და განმტკიცდეს გაერთიანებული პროლეტარული ფრონტი. ამ შეთანხმების შედეგი იყო ის, რომ აპრილის 20-სათვის, მომხდარიყო მუშათა დემონსტრაციები. ამ დღის ლოზუნგად წარმოდგენილი არის რვა საათის სამუშაო დროის მოთხოვნა, კაპიტალის თავდასხმის წინააღმდეგ შეერთებული გამოსვლა, რუსეთის რევოლიუციის დაცვა. ბრძოლა საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის, და სხვა. გარდა ამისა საერთო დეკლარაციაში არის წამოყენებული მთელი რიგი კითხვებისა, რომლის შესახებაც შეთანხმდნენ სოციალისტური ინტერნაციონალები და რომელთა ცხოვრებაში გატარება თავს იდგენს დეკლარაციის ქვეშ ხელის მოწერით.

კერძოდ საქართველოს საკითხის შესახებ ამ დეკლარაციაში შემდეგი სახით არის მიღწეული შეთანხმება: „კონფერენცია ადასტურებს, რომ თითოეულმა სამთავე ალმასრულებელმა კომიტეტმა თანხმობა გამოსთქვა მიიღოს და განიხილოს მთელი მასალები შემოსული სხვა და სხვა წყაროებიდან შესახებ საქართველოს საკითხისა. კონფერენცია ავალებს საორგანიზაციო კომისიას შეგროვოს ყველა ამ კითხვაზე შემოსული დასკვნა და წარმოადგინოს სათანადო მოხსენება სამივე აღმასრულებელ კომიტეტის მახლობელ კონფერენციაზე“. ასეთი არის დასკვნა საერთაშორისო სოციალისტური ინტერნაციონალების კონფერენციის. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ მენშევიკები სურთ გაერთიანებული ფრონტის იდეა პირნათლად გატარონ ცხოვრებაში და ყველგან და ყოველთვის მის საწინააღმდეგ გამოვლენ.

რაც შეეხება საქართველოს საკითხს ჩვენ დაბეჯითებით გვწამს, რომ იგი მენშევიკების გარეშე უნდა გადასწყდეს და მათი პოლიტიკა ვერ მიიყვანს საქართველოს აღთქმის ქვეყანამდე.

ჟურნალ-გაზეთიდან

რუსეთის ემიგრაცია ამიერ-კავკასიის შესახებ

„სმენა ვეს“ მოყავს ზოგიერთი ადგილები რისის სტატიისა, რომელიც მან მოათავსა „ლემონდ ნიუვოში“, რისი სწერს: „ისტორიული ბეშმარიტების ინტერესის მიხედვით უნდა ითქვას, რომ ბოლშევიზმი თავის უარყოფითარსებულ ფორმებისა, მისი მეამბოხე სულით და ტრადიციული კულტურის უქონლობით, მოლიანად ეგუება დაგდგრომელ ხალხის ფსიქოლოგიას, რომელთაც ჯერ არა აქვს ევსტენსიური მიდრეკილება გონებრივ და მატერიალურ კულტურის სფეროში... ბოლშევიკურმა მთავრობამ, რომ იარსებოს, უნდა ანგარიში გაუწიოს ხალხის ფსიქოლოგიას და ინსტიქტს.

თვით შესაძლებლობა რუსეთის მე-16 საუკუნის მოსკოვის სახელმწიფოში ჩაკეტვისა ეწინააღმდეგება ხალხის სულსა და მის ისტორიულ გზებს. მთავრობანი და თვით უარესნი მათ შორის, უძლურნი არიან ანგარიში არ გაუწიონ ისტორიის მოთხოვნილებას. ეს დაემართა ბოლშევიკებსაც. საქართველო, ადერბეიჯანი და უკრაინა ჩამოშორდა რუსეთს. რუსეთი დარჩა უგზოთ შავ ზღვაზე. და ეი სამშობლოს შეგნებამ გაღვიძა ხალხს, რომელიც მიდრეკილია ანარქიისაკენ, საუკუნოებრივმა ინსტიქტმა მას უკარნახა საჭიროება გაყვეს ძველ ისტორიულ გზას. ინტერნაციონალისტებმა—ბოლშევიკებმა გამოიყენეს ეს ინსტიქტი ⁄ გადაქციეს ის ეროვნულ მოქმედებათ... როცა დაიწყო ისტორიული მოძრაობა, ზღვისაკენ და ისტორიული დაპყრობა რუსეთის ამ ადგილებისა, ადერბეიჯანმა და საქართველომ დაკარგეს თავიანთი დამოუკიდებლობა. სიძლიერე ბოლშევიკებისა რუსეთის განუყოფლობის დაცვაშია.

„სმენა ვეს“ სწერს: ეს ციტატა დამახასიათებელია იმ აზრის, რომელიც ოვლემს ემიგრანტების სულის სიღრმეში. აქ უკვე არ არის სიტყვა, ძალადატანებაზე, რომელზედაც დაყრდნობილია რუსეთის სახელმწიფო. წინააღმდეგ ნათლად ადნიშნულია ისტორიული, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, ეკონომიური საჭიროებანი, რომელიც აიძულებს მოსკოვს გაიფართოოს ფედერაციის რკალი. პირველ ყოვლისა საჭიროა სრული უკუგდებული იქმნას არა ნამდვილი გამოთქმა „დაპყრობა“, რომელსაც ეგრე უკიდურესი შეუპოვრობით და ძალდონით ცდილობენ განაპირა ქვეყნების ემიგრანტები გაავრცელონ ევროპიელთა შეგნებაში.

განვიხილოთ ყოველ შემთხვევაში ფაქტი.

რა დაპყრობაზეა საუბარი კავკასიის შესახებ, 28 აპრილს ბოლშევიკებმა ერთი თოფის გაუგდებლად დაიპირეს ბაქო. პარლამენტში და საზოგადოებაში სრული დაბნეულობა მეფობდა. იგივე სურათი იყო საქართველოშიაც, სადაც ჯარი თვითონვე დაიბნა, ანუ გამოაცხადეს ბოლშევიკების მხარეზე გადასვლის სურვილი. ყველა ეს სრულიად მივიწყებულია ბრძოლისადმი ლტოლვაში და ის ხალხი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ყოველად უფერულად სთვლიდნენ ადგილობრივ რესპუბლიკების არსებობას, რომელიც ემსრობოდნენ ყოველგვარ უცხო ძალას. გამოჩნდნენ რა ჰორიზონტზე, ეხლა გაიძახიან ძალდატანებაზე და დაპყრობაზე.

დაპყრობა არ ყოფილა არა თუ მარტო მით, რომ არ მომხდარა ომი, აგრეთვე მითაც, რომ არავის არ უფიქრია ტფილისში რუსის გუბერნატორის დანიშვნა და მხოლოდ ერთი ქართველი ხელისუფლება ცვლიდა მეორეს. მართლაც კავკასიის რესპუბლიკაში, რომელიც ეგრე მჭიდროდ დაკავშირებულია რუსეთთან, გარდა იგივე პროცესი ჰორიზონტალურად დაყოფა ერებისა, სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ჩხეიძე-წერეთლით პლეადამ მიიღეს ახლო მონაწილეობა რუსეთის პირველ პერიოდის რევოლიუციაში. მეორე მის სტადიაში სცენაზე გამოვიდა ახალი შეცვლა კავკასიელებისა: ჯუღაშვილი, კარახანი, ცხაკაია, ქავთარაძე, ორჯონიკიძე, ნარიმანოვი, გუსეინოვი და სხვა მათი სახელი ლეგიონი. ზოგიერთ რუსს შეურაცხყოფად მიეჩნია, რომ რუსის არმია კავკასიაში წესიერებას იცავს. ისენი ამჯობინებენ, რომ გამოეყარა ის კავკასიიდან ოსმალებს. ასეთია ემიგრანტების დამახინჯებული გრძნობა: რაც შეეხება კავკასიელებს მათთვის რუსების ჩამოსვლა ამტკიცებს დაპყრობას, თუმცა მთელი მარადა გამგეობა საქართველოში ქართველების ხელშია მაშინ, როდესაც მოწვეული გერმანელები და არა მოწვეული ინგლისელებისა ყოფნა არ ითვლებოდა ხელის შემშლელად ეორდანიას მთავრობისათვის.

(„სმენა ვეს“ № 6)

გენუას კონფერენციის გარშემო

რუსეთის პრობლემა

ბერლინ. 27 აპრ. მოკავშირეთა ექსპერტებმა განაცხადეს, რომ რუსეთის საქმეების შესახებ არსებულმა კომისიამ ნოტით ან სპეციალური სხდომის მოწვევით უნდა მოსთხოვოს რუსეთის დელეგაციას პასუხი მთელ რიგ კითხვებზე. ექსპერტებმა წარუდგინეს კომისიას იმ საკითხების სია, რომელზედაც რუსეთის დელეგაციამ უნდა გასცეს პასუხი, მანამდის სანამ იგი მიიღებდეს საშვალებას მონაწილეობა მიიღოს რუსეთის საკითხის შესახებ არსებულ კომისიის შემდეგ მუშაობაში.

ჰაერის გაწმენდა

ჰარიზი. 27 აპრ. სტედტი გაზ. „ტაიმსში“ ადნიშნავს, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებამ მოიტანა დიდი სარგებლობა. მან გასწმინდა ჰაერი და დაგვანახა საფრანგეთის ნამდვილი პოპოზიცია. სტედტი შემდეგ ბაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თუ რუსეთი და გერმანია დაისახავენ მიზნად მშვიდობიანობის იდეას, მაშინ ორივე ამ სახელმწიფოს შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს ევროპის გაჯანსაღებას საქმეს.

რუსეთ-გერმანიის საშიშროება.

ბერლინ 27 აპრილი. ლლოიდ-ჯორჯმა ლონდონის პრესის საშვალებით მიმართა ინგლისის საზოგადოებრივ აზრს, რომელშიც იგი მოუწოდებს მას არ ენდოს გაზ. „ტაიმსი“-სა და „დეილ-მეილ“ის ცნობებს კონფერენციის მუშაობის მსვლელობის შესახებ.

ლლოიდ-ჯორჯი ადნიშნავს, რომ იგი გაიკეთებს ვრცელ მოხსენებას დეპუტატთა პალატაში კონფერენციის მუშაობის შესახებ. ლლოიდ-ჯორჯი შემდეგ აკეთებს შეფასებას პუანკარეს უკანასკნელი სიტყვისას და ადნიშნავს, რომ საფრანგეთის გაცხარება არის შედეგი ყალბი ინფორმაციისა. დასასრულ ლლოიდ-ჯორჯი უცხადებს, რომ არავითარი რუსეთ-გერმანიის საშიშროება არ არსებობს.

ჰანოფერი, 26 აპრილი. ლონდონის გაზეთების ცნობით, ლოიდ ჯორჯს განზრახვა აქვს გაემგზავროს ლონდონში გენუის კონფერენციის მუშაობის მსვლელობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად. ლოიდ ჯორჯი ხელახლა დასვამს საკითხს ნდობის შესახებ, რათა მას შეძლება ექნეს განაგრძოს თავისი მუშაობა გენუის კონფერენციაზე ძველი მიმართულების თანახმად.

კიდევ ერთი უკანასკნელი.

პარიზი, 27 აპრილი. გენუის კონფერენციის მოკავშირეთა წრეებში იმედი აქვთ, რომ რუსეთის დელეგატები ამ ახლო ხანში წარმოადგენენ გარკვევით თავის მოთხოვნილებებს.

პარიზი, 27 აპრილი. 28 აპრილს საღამოს, დაავიანებით, გაიმართა თათბირი ლლოიდ-ჯორჯისა, იტალიის პრემიერის ფაქტაისი და გარეშე საქმეთა მინისტრისა. ფრანგული ცნობების მიხედვით, ამ თათბირზე გადაწყვეტილი იქნა მოსთხოვონ რუსეთის დელეგაციას, რათა მან დაჩქარებით წარმოადგინოს თავისი უკანასკნელი მოთხოვნილებანი.

პარიზი, 27 აპრილი. ლონდონის ცნობებით, საფრანგეთის დელეგაციას დავალება აქვს თავის მთავრობისგან მოსთხოვოს რუსეთის დელეგაციას მოკავშირეთა მიერ წამოყენებულ პირობებზე პასუხი და აგრეთვე წარმოადგინოს ყველა თავისი მოთხოვნილებანი.

რუსეთი და პოლონეთი—ჩიჩერინის განცხადება

ბერლინი, 27 აპრილი. ჩიჩერინმა მიმართა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრს სკირმუნტს წერილით, რომელშიც იგი პროტესტს აცხადებს პოლონეთის მონაწილეობაზე რუსეთის საქმეების განხილვაში, ვინაიდან პოლონეთმა თავის დროზე, იხე როგორც გერმანიამ ხელშეკრულება დასდო რუსეთთან.

ჰანოვერი. 27 აპრილი. ჩიჩერინი, თავის წერილში სკირმუნტის მიმართ, გაკვირვებას გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ პოლონეთი, რომელმაც იცნო საბჭოთა მთავრობა და მასთან რიგაში ხელშეკრულება დასდო, რომლითაც გადაწყვეტილი იქნა ყველა სადავო საკითხები, ეხლა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების შესახებ პროტესტს აცხადებს, რუსეთი ხედავს ამაში მისი სუვერენულ უფლებების დარღვევას და აგრეთვე რიგის ხელშეკრულების მოუხეშავად დარღვევას, რომელიც ავალდებულებს პოლონეთს იმოქმედოს რუსეთთან შეთანხმებით და თავის მხრივ ხელი შეუწყოს სხვა სახელმწიფოთა მიერ საბჭოთა რუსეთის იურიდიულად ცნობას. პოლონეთის მიერ შექმნილი პრეცედენტის მიხედვით რუსეთს შეუძლია არ იცნოს, მისი სხვა სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებანიც. საბჭოთა მთავრობა კატეგორიულად უარყოფს იცნოს ან არ იცნოს პოლონეთის მიერ მგსამე მხარეთან დადებული ხელშეკრულება.

სკირმუნტის პასუხი

ბერლინი. 27 აპრ. სკირმუნტი თავის პასუხში ჩიჩერინის წერილზე აცხადებს, რომ პოლონეთის დელეგაცია შეუერთდა მოკავშირეთა აზრს გერმანიის რუსეთის საკითხების შესახებ არსებულ კომისიისგან გამორიცხვის შესახებ და იგი ვერ ხედავს ანალოგიას პოლონეთსა და გერმანიის შორის იმ ხელშეკრულებათა ძალთა, რომელიც ამ ორივე სახელმწიფომ დასდვა საბჭოთა მთავრობასთან. სკირმუნტი აცხადებს, რომ ბალტიის სახელმწიფოთა თათბირის ოქმს რუსეთისა და პოლონეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც მოხდა რიგაში მიმდინარე წლის 30 მარტს, არ ქონია ხელშეკრულების ხასიათი. სკირმუნტი შემდეგ უარყოფს იმას, თითქოს რიგის თათბირის ოქმის ხელის მომწერ სახელმწიფოთ, მიელოთ ვალდებულება ყოველი ღონე ეხმარა რუსეთის ოფიციალურად ცნობისათვის

რაც საჭირო იყო დაგემტკიცებინა

ბერლინი. 27 აპრ. გენუიდან ბრიუსელში დაბრუნებულმა ბელგიის პრემიერმა ფენისმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს ხაზი გაუსვა იმას, რომ გენუის კონფერენციას ტენდენცია აქვს გასცილდეს ეკონომიური საკითხების ფარგლებს. ფენისმა შემდეგ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობას მოსთხოვენ ნათელ და აშკარა პასუხს მათთვის დასმულ საკითხების შესახებ. რაიცა შეეხება საბჭოთა მთავრობის ცნობას, ეს საკითხი დროებით იქნება გადადებული. ფენისმა რწმენა გამოსთქვა, რომ კონფერენცია მოგვცემს გარკვეულ სასურველ შედეგებს განსაკუთრებით მათთვის, ვინც სდგას რეალურ ნიადაგზე.

ვირტის განცხადება.

ჰანოვერი 27 აპრილი. გერმანიის კანცლერმა ვირტმა გერმანულ პრესის ჟურნალისტებთან საუბრის დროს კატეგორიულად განაცხადა, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება სავსებით არის გამოქვეყნებული. გამოქვეყნებულ ტექსტის გარდა, არ ყოფილა დადებული არავითარი პოლიტიკური ან სამხედრო შეთანხმება. რაპალოს ხელშეკრულება, ვირტის აზრით, განხილულ უნდა იქნეს, როგორც პირველი ნაძდვილი საზავო ხელშეკრულება, რომელიც დასდო ორ ერთმანეთ შორის მტრულად განწყობილ მხარემ. გერმანიის შეუძლია მხოლოდ მიესალმოს დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოთა და რუსეთის შორის ასეთი ხელშეკრულების დადებას.

ინგლისის კატეგორიული განცხადება

ჰანოვერი, 27 აპრილი. ლონდონის პრესა 25 აპრილის თარიღით ნახევრად ოფიციალურად იტყობინება, რომ ლლოიდ ჯორჯმა ინგლისის სახელით კატეგორიულად განაცხადა, რომ იგი არ დაუშვებს ევროპის ხელახლა საომარ ასპარეზათ გადაქცევას. ინგლისი პირველპირ უარყოფს მიიღოს მონაწილეობა ისეთ პოლიტიკაში, რომელიც კიდევ ხელახლა მიგვიყვანს დადარბიების გაძლიერებამდის და რუსეთისა და გერმანიის იზოლიაციამდის, რომელნიც ძალებულნი გახდნენ შეეკრთ კავშირი დასავლეთის წინააღმდეგ. ამის გამო ბრიტანეთის დელეგაციას განზრახვა აქვს მომავალში მოლაპარაკების საფუძვლად დაუდოს რუსეთის მემორანდუმი. დასასრულ ლლოიდ ჯორჯმა, როგორც ამას იუწყება 25 აპრილის ლონდონის საღამოს პრესა, იმედი გამოსთქვა, რომ პუანკარე შეიგნებს, თუ რამდენად საჭიროა საფრანგეთისათვის არ გასწყვიტოს კავშირი ინგლისთან.

ეკონომიური კომისია.

გენუა 26 აპრილი. 25 აპრილს დილით გაიმართა ეკონომიური კომისიის პირველი ქვეკომისიის სხდომა. ქვეკომისიამ დაადგინა მომავალ თავის მუშაობას საფუძვლად დაუდოს ლონდონის ექსპერტების მოხსენება. გამოყოფილ იქმნა ექსპერტების განსაკუთრებული ქვეკომისია უკვე არსებულ წინადადებათა სისტემატიზაციისათვის და მათი ყველა წარმომადგენლებისათვის გასაცნობად და აგრეთვე ლონდონის მოხსენების მუხლების განხილვის წესის შესამუშავებლად.

გენუა 26 აპრილი. ეკონომიური კომისიის მეორე ქვეკომისიამ განიხილა იმ უცხოელთა საკითხი, რომელნიც სხვა და სხვა სახელმწიფოში აწარმოებენ თავიანთ საქმეებს. ქვეკომისიას წარედგინა სამი პროექტი—იტალიის, გერმანიის და რუსეთის დელეგაციებისა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის და სხვ. დელეგაციებმა, მოწონებულ იქნა რუმინიის დელეგაციის მიერ წამოყენებულ პროექტის პირველი ნაწილი, რომელიც ეხება თანასწორი უფლების დაწესებას ადგილობრივ მცხოვრებთა და უცხოელების შორის ფისკალურ ზომებში. ამავე პროექტის მეორე ნაწილი, რომელიც ეხება სახელმწიფოს უფლებას აუცილებელ წმინდა ხელშეკრულებებში უარი სთქვას ამ თანასწორობის პრინციპზე, რაც გამართლებულ უნდა იქნეს სახელმწიფოებრივ ინტერესებით, საერთოდ მიდებულ იქნა. დასასრულ იაპონიის დელეგაციის წინადადების თანახმად ქვეკომისიამ მოიწონა დამატებითი მუხლი, რომელიც ეხება იმ გარემოებას, რომ ფისკალურ ზომებში ამ თანასწორობის პრინციპიდან გადახვევა უნდა ხდებოდეს უცხოელთა ეროვნული ქვეშერდომობის გარეშე.

საფრანსპორტო კომისია

გენუა. 26 აპრ. 25 აპრილს მოხდა საფრანსპორტო კომისიის საორგანიზაციო ქვეკომისიის სხდომა. გახილულ უნდა ყოფილიყო მოხსენება სარკინიგზო და წყლის ტრანსპორტის ქვეკომისიისა მუშაობის შესახებ. ამ მოხსენებაში ჩამოყალიბებული იყო უკანასკნელი ტექსტი ტრანსპორტის საზოგადო საკითხებისა, რომლის შემუშავების დროსაც მხედველობაში მიღებულ იქნა სხვა და სხვა დელეგაციების შენიშვნანი და განმარტებანი. ზოგიერთი ცვლილებების შემდეგ, გადაწყვეტილებათა ტექსტი მიღებულ იქნა, რათა წარედგინოს საბოლოოდ დასამტკიცებლად საფრანსპორტო კომისიაში.

საფინანსო ქვეკომისია

გენუა. 26 აპრ. 25 აპრილს ივ ნისის თავმჯდომარეობით გაიმართა საფინანსო ქვეკომისიის სხდომა. გადაწყვეტილ იქნა შემდეგ სხდომაზე შემუშავებულ იქნეს საბოლოოდ საფინანსო მოხსენების ტექსტი საფინანსო კომისიის პლენუმისათვის წარსადგენათ.

რაუტი გენუაში

გენუა. 26 აპრ. 26 აპრილს გენუაში გაიმართა რაუტი, რომელიც გამართა საგარეო ფლოტმა და საგარეო პალატამ გენუის ადმინისტრაციასთან ერთად. რაუტზე მიწვეულ იყვნენ ყველა დელეგატები და უმაღლეს ხელისუფლების სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენელნი. ყველა დელეგატებს განსაკუთრებული ყურადღებით ექცევიან და განსაკუთრებით ჩიჩერინს, რომელიც დიდხანს ესაუბრებოდა სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიების, მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთ. ჰერციგის სასახლე სადაც გაიმართა ბანკეტი შესანიშნავად იყო მორთული და გაჩირაღდნებული.

რადეკის წერილი.

ნაუენი 26 აპრილი. გაზეთი „ოტეფანე" აქვეყნებს რადეკის წერილს, რომელსაც ბრალს სდებენ იმაში თითქოს იგი ერეოდეს გერმანიის შინაური პოლიტიკურ საქმეებში.

— რადეკი თავის წერილში აღნიშნავს, რომ ყველა მიმდინარეობის გერმანული გაზეთები ათავსებენ აუარებელ ცნობებს მისი ნამდვილი და ყალბი მოქმედების შესახებ და ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ ცნობების ფანტასტიურობაში და უაზრობაში. გაზეთი „ფორვერტსი" იუწყება ჩემი მოლაპარაკების შესახებ სტინესთან, რომელსაც მე თითქოს მსურდეს გადავცე რუსეთის რკინის გზები და რომ ამ გარემოებამ მაიძულა მე წავკიდებოდი ჩემ მეგობარ კრასინს. ყველა ამ უაზრო ბოდვას მე ყურადღებას არ ვაქცევდი. მაგრამ აუცილებელ საჭიროდ მიმაჩნია ვაუწყო მუშათა კლასს შემდეგი: გერმანიის მთავრობამ ნება დართო ჩემ გერმანიაში შემოსვლაზე იმ პირობით, თუ მე თავს შევიკავებდი, უარს ვიტყოდი ყოველგვარ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე გერმანიაში და თუ ეხლა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო, რომელიც ამასთან ერთად მეოვრობის ორგანოა, სპეკულაციას ეწევა ჩემს დუმილზე [illegible] მიზნებით ესენი ცნობებს, რომელიც მ[illegible] ჩირქს [illegible] ნსაჯოს ვის ინტერესს წარმოადგენს ამ გვარი პროვოკაციის წარმოება. გერმანიის მუშებმა ძალიერ კარგათ იციან ამ გვარი პრესის [illegible]ობა, რომ მცირეოდენი ყურადღება მაინც მიაქციონ მათ უაზრობას.

გერმანიის რკინიგზელთა შორის

მოსკოვი 28 აპრ. კამათი გერმანიის მოხელეთა გაფიცვის მომხრეთა და მის წინააღმდეგეთა შორის დამთავრდა განხეთქილებით რკინიგზელთა შორის. უმაღლეს მოსამსახურეთა ჯგუფი გამოვიდა რკინიგზელთა გაერთიანებულ კავშირიდან და შეადგინა თავისი საკუთარი კავშირი, გამოაცხადა რა თავის თავი უპარტიო ორგანოდ.

ამხ. არალოვი ინგლისეთის არმიის შესახებ

ანგორა. 20 აპრ. რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭ. რესპუბლიკის პოლიტიკურმა წარმომადგენელმა ანგორაში ამხ. არალოვმა, რომელიც ეხლახან დაბრუნდა ფრონტიდან, აცნობა გაზ „ხალკიეფ მილლეს" კორესპონდენტს შემდეგი: ორგანიზაციის სიძლიერემ გადალაპარაკა ჩ-მ ყოველგვარ მოლოდინს. ყოველმა კომანდირმა და ასკერმა იცის, რომ ანტანტის პირობების მიღება მოასწავებს ოსმალეთის დამონებას. არმია გაჯერებულია სურვილით თავი გაანთავისუფლოს იმპერიალიზმის ბრძყალებიდან. არმიის ზურგი დაფარულია სახელოსნოებით, სადაც იქედება იარაღი—საფუძველი ახალი ცხოვრებისა. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ასკერების მიერ მოწყობილმა წარმოდგენამ. გლეხობა აქტიურ დახმარებას უწევს ჯარს. მუსტაფა ქემალ-ფაშის მთავრობა მჭიდროდ არის დაკავშირებული გლეხობასთან.

— შემდეგ ამხ. არალოვმა აღნიშნა, რომ ყველა კომანდირებისა და ასკერების დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი და წითელ არმიისადმი საუკეთესოა.

უცხოეთი

პარიზი, 25 აპრ. პუანკარემ ბარლე დიუკში წარმოთქმულ სიტყვაში დაახასიათა ის მდგომარეობა, რომელიც შექმნილია საფრანგეთში ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ. პუანკარემ აღნიშნა, რომ თავის დროზე გადაწყვეტილ იყო დაეტოვებინა ამ მწვავე და ინტენსიურ ფიქრებს იწვევს ტრაგიული დიღმა დღეს. რომ წილად ხვდა ერს: „ან თავის თავის მონახვა უკანასკნელი, ან სრული დაღუპვა თავის თავისა".. მაგრამ ეს უაღრესად პოლიტიკის კითხვაც არის, პოლიტიკა კი ამ შემთხვევაში, ჩვენის ღრმა რწმენით გვავალებს უცილო აქტიურობისა და ბრძოლის, არამც თუ ბოროტების არ წინააღმდეგობას, რომლის მეთხვებით ოდნავთაც ვერ მოვნახავთ თავის თავს.

ის განსაცვიფრებელი მოვლენანი, რომელნიც ეგრე შესანიშნავად აითვისა გრ. რობაქიძემ: „საქანელა და საღრჩობელაში" შესახებ ქართველის რასიულ ხასიათისა: უცხოეთში გადავარდნა და თავის თავის გაქცევა მომდინარეობს ძველ დროიდანვე: წმ. მამა იოანე; გ. საკაძე,—ვიდრე დღევანდლამდე: მაგ. შორეულ რუსეთის რევოლიუციის შესაქმეში ლატაკ საქართველოდან გამოსულ ჩხეიძე, წერეთლის მიერ; ჩვენის აზრით ესეც „გადავარდნაა" ერთგვარი.

აღნიშნული გარემოების მთავარი მიზეზი გაბლავთ არა რასიული ხასიათის სავსებითი თანდაყოლილება, არამედ უფრორე, ძველ დროიდანვე ვიდრე დღევანდლამდე არსებული საქართველოსთვის არა ხელსაყრელი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური სტრუქტურა.

ლატაკი—მატერიალურად ლარიბი ერი და სულიერი სიცალიერე პიროვნებას უსპობს საბოქმედო არეს. ამის გამო გამოწვეული „გადავარდნა", სასოწარკვეთილი, გადაშენებული ინტელიგენტი თუ მხატვარი, რომელიც ატყობს და გაურბის თავის თავს,—გასაგებია და არა გასაოცი.

ქართველი ხალხისათვის აღნიშნული თვისებათა ესთეტიურ, ან ტრისტიულ

ეროვნული მომენტი ახალ ქართულ პოეზიაში

გრ. რობაქიძე. ტ. ტაბიძე. პ. იაშვილი.

(შემდეგი).

მეორე ლექსი გრ. რობაქიძისა: „რთველი" ადასანიშნავია იმ მხრივ, რომ აქ არის სურათი საქართველოს ცხოვრებიდან, რომელშიაც ავტორი ეძიებს იმავ დიონისიურ საწყისს. პოეტი ვეხებავს რთველს: ყურძნის კრეფას, „ეფეშაპათ გარეფილ შავ საწნახელს" და ვეფების მიერ: „ოდეფა-დიდანოს" სიმღერას..

ღმერთს დიონისოს, ხვათა შორის ჰქონდა მიკუთვნული აგრეთვე ის დღესასწაული, რომელიც შეეხებოდა მეევნახეთა მუშაობასაც.

დიონისო თან და თან შეიქმნა ამიტომ ღმერთი ღვინისა. სწორედ როგორც ასეთი ღმერთი სცხოვრობს დღესაც ის ჩვენს ცნობიერებაში, თუმცა ის ასეთი არ იყო პირველშობილ თავის ორგიასტულ კულტისას..

საინტერესოა თუ როგორ უახლოვდება პოეტი თანდათან ყურძნის კრეფის, ანუ ეროვნულ რთველის ქვრეტისას ამ ღმერთი დიონისოს შეგრძნებას, რომელსაც მოუხმობს ავტორი ელლენელთათვის სანატრელ და საყვარელ: „ევოი დიანოს" გამოძახილით..

ყურძნის კრეფისას ე. წ. ნადობის დროს და ყურძნის დაწურვისას, როდესაც მოისმის:

„სუნთქვა განბაფული შრიალი, ჩურჩული: ჩემი ხარ, ჩემი ხარ: რითა ხარ ფრჩული: კოცნის შაირი, ნელი ხმა თანადარ:

მეც შენთანა ვარ: მეც შენთანა ვარ". და ვეფების მიერ: „ოდეფა-დიდანო"-ს სიმღერა,—ავტორი წუთიერ გადადის ფიქრებით ელლადაში და ვეფების მიერ სიმღერა მაგონებს ელლენელთა ღმერთს; დიონისოს, რომელსაც მოუხმობდნენ

დღესასწაულისას ეგსტაზში მყოფნი მცხოვრებნი: „Évohé".—

„ფერები გარბიან სარზე სარიდან, ვაზები მღერიან ოდეფა დიდანოს. გვიახლოვდები რომელი მხარიდან: ევოი დიანოს; ევოი დიანოს".

ავტორის მიერ: „ევოი დიანოს" მოწოდების შემდეგ, თავდება საქართველოს ფარგლებში აღებული სურათი დიონისიურ საწყისისა, ხოლო ელადაში ამ საყვარელ და სანატრელ ყივილის შემდეგ იწყებოდა მცხოვრებთა ჯგუფობრივი ვაკხანალია.. „Evohé"-ს გაგონებისას ფაუნ წამოიშლებოდნენ ხოლმე ფლეიტის, დაირ-ტიმპანის (სპილენძის საინების) ბგერებზე: ცეკვა-თამაშს, ღვინის სმას და ლხინს მიცემული, ცალ-ცალკე დაბარგებული ჯარები.

ასე იყო ელლადაში. საქართველოში არ არის საამისო სრული სურათი; მაგრამ, რთველი და დიონისიურათ განწყობილი, დაახლოვებითი ატმოსფერა, მაინც მოგონებს პოეტს დიონისოს, რომელსაც მოუხმობს: „ევოი დიანოს"..

სწორედ ამაში მდგომარეობს დიონისოს კულტისათვის შინაგანი ქვრეტა და ე. წ. „განთავისუფლება" შემოქმედებისას, რომელ სც პოეტი სავსებით აღწევს.

როგორც წინა ლექსში: „პანში", დიონისიურათ განწყობილ სულის (პირის) ხილვა ხდებოდა საქართველოს ფარგლებში: „სისხლის მწოველ" მხურვალე მზით მოცულ ბუნების წიაღში,—ასევე ამ ლექსში:

„რთველშიც" ღმერთი დიონისოს სიახლოვის შეგრძნება ხდება წმინდა ქართველურ ატმოსფერაში, რასაც მოწმობს ყოველი ხაზი, ყოველი სიტყვა: „ზეცა საწნახელი ვეშაპათ როფილი"—„ცხვირ გატეხილი ხაპის ქალა"—„ჩეროკანი გრილი"—„ფოთლების ფაფანის" შეუშჩნევი შმუშვნა და სხვ.

გრ. რობაქიძის ლექსები დამუშავებული და გამოქედილია თავისებურ სტილის გრდემლზე, მდიდარი გამდედულ, ხშირათ გასაოცი თქმით: „თავმოკვეთილი მზე!" „ფიცხელ სალტებში იშმუშნება ქვეყნის მთქნარება!" „ქვეყნის მთქნარება"—ნიცშეებური ტონი თქმა, როგორც: „O Mensch, gib acht vas schprecht die tiefer Mitternacht". („ო. სმენად იქეც (ისმინე) კაცო: რას ამბობს უკუნ შუალამე"). ან კიდე ისეთი როგორც: „Дай кровь Небытію, дай голос Немоте, въ безликій Хаос ввергни краски". (ვინ ჩესლავ ივანოვი) და სხვ..

—

„ზვიადი მზე; მხურვალე ქვებზე და ფიცხული ხვლიკები მწვანე". ვის არ უნახავს ეს ჩვენს რიყეში. „მთვალემარე მთები დადვლეფილი მზის ნადალარით". „მწიფე მარცვლები გამსკდარ ბროწეულს რო სცვივა; ვეშაპათ როფილი შავი საწნახელი" ან და „ორლობის" ეშაფოტი: მგრადიული მოტივიც ხიარებული ეროვნულ ხაზს—ყოველივე ესენი ბევრ რამეს ეტყვიან ქართველის სულსა და გულს, რათგან მის განკარგულებაშია ზემო ადნიშნული „ასოციატიური მასალა".

—

ეროვნული პრობლემა: საქანელა და სახრჩობელა; სონეტი: საქართველო.

საგულისხმოა ყოველ ქართველისათვის გრ. რობაქიძის ექსპერიმენტი—დაკვირვებანი შესახებ ნაციონალურ ფსიქოლოგიურ თვისებათა, „საქანელა და სახრჩობელა" ქართველთა სულის და ქართული ყოფის ჭეშმარიტად ნიჭიერი ეხოთეტიური ათვისებაა.

ავტორმა მეტის ინტენსივობით მოახდინა გამოკვეთა ორმაგ რასიულ ხასიათისა; პოეტი ამბობს: „ჩვენ სამოტყვიც ვართ და ორიენტებიც" ამიტომ: „მეწვერილმანებიც" და „ტაინდებიც"; და შემდეგ: „ქართველი თავის თავს ატყუებს, რომ სხვა მოატყუოს. ყალბი დერბების მაგსტრო—ბოროდია ისტორიულ ფიგურათ გამოდის".. „ქართველი გაუბრბის თავის თავს (ცუდს) რომ ნახოს თავის თავი (უკეთესი) მაგალითი: წმ. მამა იოანე. ან კიდე: ქართველს სძულს თავის თავი (ახლობელი): ალბად მისთვის ეტრფის თავის თავს (შორეულს) მაგალითი: გ. საკაძე.. ეს შემთხვევითი დასკვნები როდია, არამედ ქართველი ხალხის ბუნების და ვინაობის შესახებ მწვავე ფიქრთა შედეგები.. შორეთის სიყვარული და თავის თავის გაქცევა ყველაზე უკეთ მხილდება ლექსში: „საქართველო". აქ არის ეს ტრაგიული „გაქცევა თავის თავისაგან" და უცხო შორეულის სიყვარული გ. საკაძის ფიგურით მოცემული:

„მაგრამ ხედავდე საკაძე ლანდივით მოდის: უცხო შორეთის სიყვარულით პირგამეხილი,—და უცხის გმირი: გამთენდება ნიტავ თუ ოდეს შენს უნდო მკერდში მისი ხმალი გადატეხილი.. „საკაძე ლანდივით მოდის"—ისეთივე საშიში და ტრაგიკული თქმაა ქართველისათვის, როგორც: „იქნებ ჩვენ ტფილისი ყველამ დავტოვოთ".. მაგრამ პირველი უფრო დიდის სინანულებით მოიცავს ხოლმე ქართველის სულსა და გულს. თქმა: „საკაძე ლანდივით მოდის"—გვართმევს აქტუალობას, გვართმევს ნებას და ვსჭვრეტთ თანდაყოლილ გარდუვალ ხასიათს ქართველ—რასიულს, რომელიც თითქოს არასოდეს დაიძლევა. აღნიშნული თქმა ისეთივე გრანდიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებს როგორც ედგარ პოეს: „ნევერმორ"—ძალიერ შინაგან დაძაბულობით, ყრუთ რო მოისმის; ეს თითქოს ბერძენთა „წერა" (рок).. ქართველი ხალხის შეხებ ამ მწვავე და ინტენსიურ ფიქრებს იწვევს ტრაგიული დიღმა დღეს. რომ წილად ხვდა ერს: „ან თავის თავის მონახვა უკანასკნელი, ან სრული დაღუპვა თავის თავისა".. მაგრამ ეს უაღრესად პოლიტიკის კითხვაც არის, პოლიტიკა კი ამ შემთხვევაში, ჩვენის ღრმა რწმენით გვავალებს უცილო აქტიურობასა და ბრძოლას, არამც თუ ბოროტების არ წინააღმდეგობას, რომლის მეთხვებით ოდნავთაც ვერ მოვნახავთ თავის თავს.

ის განსაცვიფრებელი მოვლენანი, რომელნიც ეგრე შესანიშნავად აითვისა გრ. რობაქიძემ: „საქანელა და საღრჩობელაში" შესახებ ქართველის რასიულ ხასიათისა: უცხოეთში გადავარდნა და თავის თავის გაქცევა მომდინარეობს ძველ დროიდანვე: წმ. მამა იოანე; გ. საკაძე,—ვიდრე დღევანდლამდე: მაგ. შორეულ რუსეთის რევოლიუციის შესაქმეში ლატაკ საქართველოდან გამოსულ ჩხეიძე, წერეთლის მიერ; ჩვენის აზრით ესეც „გადავარდნაა" ერთგვარი.

აღნიშნული გარემოების მთავარი მიზეზი გაბლავთ არა რასიული ხასიათის სავსებითი თანდაყოლილება, არამედ უფრორე, ძველ დროიდანვე ვიდრე დღევანდლამდე არსებული საქართველოსთვის არა ხელსაყრელი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური სტრუქტურა.

ლატაკი—მატერიალურად ლარიბი ერი და სულიერი სიცალიერე პიროვნებას უსპობს საბოქმედო არეს. ამის გამო გამოწვეული „გადავარდნა", სასოწარკვეთილი, გადაშენებული ინტელიგენტი თუ მხატვარი, რომელიც ატყუებს და გაურბის თავის თავს,—გასაგებია და არა გასაოცი.

ქართველი ხალხისათვის აღნიშნული თვისებათა ესთეტიურ, ან ტრისტიულ

ებიათ გამარჯვებულ სახელმწიფოთა ანგარიშზე ყველა სამხედრო ხარჯები. რაიცა შეეხება გერმანიის მიერ მიყენებულ ზარალს და პენსიებს, ეს უკანასკნელნი შეტანილია გერმანიის პასივში. გადაწყვეტილი იყო გერმანიის განიარაღება. ვერსალის ხელშეკრულების ეს მუხლები რომ რეგულიარულად სრულდებოდეს, საფრანგეთი დაკმაყოფილებული იქნებოდა. არცერთ საფრანგეთის პოლიტიკოსს არ აქვს უაზრო პრეტენზიები დაავალოს საფრანგეთს სხვა სახელმწიფოთა კონტროლის ფუნქციები. მაგრამ ცხოვრებამ დაგვანახა, რომ მხოლოდ წინდახედულებასა და პირდაპირობას შეუძლია მიგვიყვანოს გარკვეულ შედეგებამდის გერმანიაში ამ ჟამად ისეთი მდგომარეობა არის, რომ პანგერმანისტებს თითქოს აქვთ საშუალება ადრე თუ გვიან მოამზადონ აფეთქება და ძალით დაიპირონ ის ადგილები, რომელიც ჩამოცილდათ მად ვერსალის ხელშეკრულებით და კერძოთ კიპროლონეთისათვის გადაცემული ადგილები.

საფრანგეთს, აცხადებს პუანკარე, გულით სურს განიარაღება, მაგრამ იგი უცდის, რომ პირველ ყოვლისა მართლაც განიარაღდეს გერმანია. შეეხო რა შემდეგ საკონტრიბუციო პრობლემას, პუანკარემ პირდაპირ განაცხადა, რომ გერმანია 31 მაისამდის ვალდებულია შემოიღოს ახალი გადასახადები და მიიღოს საკავშირო კონტროლი თავის ფინანსებზე. იმ შემთხვევაში თუ გერმანია წინააღმდეგობას დაიწყებს ან და საკონტრიბუციო კომისია დამტკიცებს, რომ გერმანიის წინააღმდეგობას არა აქვს სერიოზული მიზეზები, მოკავშირენი საერთო თანხმობით მოვალენი იქნებიან მიიღონ ყველა სათანადო ზომები. პუანკარემ ამასთან ერთად აღნიშნა, რომ ასეთი სათანადო ზომების მიღება შეუძლია თვითეულ დაინტერესებულ მხარესაც.

წითელ ხაზს იქით

საფრანგეთი და გერმანია

ბერლინი. 27 აპრილი. გაზეთი „პ�პარიზიენი“ იხილავს პუანკარეს უკანასკნელ სიტყვას და კატეგორიულად ხაზს უსვამს საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებას, ისარგებლოს ყველა თავისებრ შესაძლებელი და მართებული საბუთის, საწყისის გამოყენებით: შესახებ „რასიულ ხასიათის თანდაყოლილებისა“ — შემცდარი—უმართებული. ამის შესახებ არ გავაგრძელებთ სიტყვას...

ზემო მოყვანილ საკითხების პოეზიაში გადმოტანა შესაძლოა და სასურველი, თუნდაც აგრეთვე კოტეტიშვილის მიერ ამას წინად ნოყვანილი მაგალითი: არჩილ ჯორჯაძის „სისხლიანი ხვეულებით მოცეძული კონსტიტუციაც“, ხოლო პოლიტიკამ და ერის შესახებ კითხვებმა არ უნდა მოჰკლას პოეზია. საქმე საკითხის დრმა დასმაში და მისი საამისო მხატვრულ გადმოცემაშია. აქ პოეტისათვის არის დიდი საკითხი. თუ არა ქუშმარიტი პოეტი, მწერალის დამარცხება ყოველთვის ადვილი საქმეა. მაგალითი: ეხლახან დაწერილი მეტელიშვილის პიესა: „პოეტი მეომარი“. ეს არის სრული პროფანაცია.

მაგრამ არის გამართლებაც—მაგალითი: დ. მერეჟკოვსკის და ანდრიე ბელის: „ტრილოგია“, „სერებრიანი გოლუბ“ და სხვა.

ან კიდე ყველაზე უმძაფრესი მაგალითი: მიქელ-ანჯელოს კოლოსალური ქანდაკი: „დავითი“.

დასასრულ ვიმეორებ, რომ ეროვნულ მომენტის აღნიშვნა გრ. რობაქიძის შემოქმედებაში ნიშნავს: ცხადყოფილის მუდამ ხელმეორედ ცხადყოფას. მაგრამ, ჩვენში ხომ ასეა ყოველთვის!. ვისაც აქვს თვალი: წაიკითხოს, ვისაც აქვს ყური: ისმინოს გრ. რობაქიძის ძლიერი, ქართული, სიტყვა გამართული ლექსები, მისი: შინაგან გრდემლზე გამოქედილი ფოლადივით გამძლე სიტყვა,— და აი, ეს იქნება უადრესად ეროვნული მომენტი ქართულ პოეზიისათვისაც.

ალ. ჭუთათელაძე.

ახალი ამბები

— **დავკარგე.** ტფილისის სადგურზე მოწყობები: 1. პირადობის, მოცემული ქუთაისის სამთო უბნის მილიციის მიერ, 2. ქუთაისის II გიმნაზიის მიერ მოცემული ამავე 8 კლასის დამთავრების შესახებ და 3. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის მიერ მოცემული სამივე ეს მოწმობები ჩითვალოს გაუქმებულად არჩილ იაკობის ძე ფანცხავა.

— **შუამდგომლობის უარყოფა.** ტფილისის ქალაქის აღ-კომიტეტის მცირე პრეზიდიუმმა უარყო წინადადება ტფილისის სახლის პატრონების შესახებ სახლის პატრონთა ყოფილი კავშირის აღდგენისა.

— **ცეცხლი.** 27 აპრილს დილის 9 საათზე გაუფრთხილებლობით ცეცხლი გაჩნდა ნავთით მოვაჭრე მეტრევლის დუქანში, 19 თებერვლის ქუჩაზე. ცეცხლი მოედვა ნავთსა და მაზუთს ცეცხლი მოედვა მახლობელ ფურნეებს არჩევაძისას და ქერთაშვილისას სასწრაფოთ მოსულმა ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ცეცხლი ჩააქრო. სამწუხაროთ ცეცხლის ჩაქრობის დროს ადგილი ქონდა უბედურ შემთხვევას. წყლისთვის მიმავალი ცეცხლის ავტომობილი მოსახვევში დაეტაკა მეორე ცეცხლის მქრობელი ნაწილის წყლიან თულუხს და ორი ცეცხლის მქრობელი სუმბუქთ დაშავდა, ცხენმა ფეხი მოიტეხა. რადენიმეთ დაზიანდა თვით ავტომობილი ცეცხლიდან მიყენებული ზარალი განისაზღვრება 9000—10,000 მანეთამდე ოქროთ.

— **ტფილისის ბირჟაზე.** 28 აპრილს (კურსი— ათას მანეთობით)

ოსმალ. ქაღ. ლირა	170.
სტერლინგი	975
გერმანული მარკა	0,825

— **უკანასკნელი სათეხი მახალის პარტიის განაწილება.** ბათომში ჩამოვიდა ჩრდილო ამერიკიდან ახალი პარტია სათესი სიმინდისა, დაახლოვებით 18600 ფუთამდე, ამ პარტიიდან ადერბეიჯანმა მიიღო 40,000 ფ. ჯერჯერობით განაწილებულია 100,000 ფუთი დასათესად, რომლიდან თიანეთის მაზრას ეგზავნება 20,000 ფ. ბორჩალოს—8000 ფ. ტფილის—8000 ფ. დუშეთისას 10,000. გორისას 8000 ფ. ცხინვალისას 1000 ფ. ახალქალაქისას 20,000 ფ. შორაპნისას 5000 ფ. რაჭისას—8000 ფ. ლეჩხუმისას—8000 ფ. ქუთაისისას—5000 ფ. სენაკისას—3000 ფ. ზუგდიდისას—2000 ფ. ოზურგეთისას,—3000 ფ. საცდელ დაწესებულებს და სახალხო სამეწადმოქმედო სასოფლო მეურნეობის განყოფილების კომუნებს—3000 ფ. აჭარისტანს—7000 ფ. სულ 88000 ფ. დანარჩენი გადადებულია სიდნადის მაზრას—1000 ფ. თელავისას—1000 ფ. ცხინვალისას—1000 ფ. ახალქალაქის მაზრისათვის—3000 ფ. და ახალციხისათვის 1000 ფ. სულ 7000 ფ. თუ რომ მაზრებს დასჭირდებათ სათესი მასალა. 5000 ფუთი შენახულია სათადარიგო სათეს ცენტრისათვის.

— **ქალაქის ფ.-ტელეგრაფის განყოფილება.** სახ. საფ. კომისარიატმა ადგილი საკითხი ქალაქის ფ.-ტელეგრაფის ტფილისის განყოფილების შენობების შენახვის შესახებ ქალაქის აღ. კომიტეტის მიერ. უკანასკნელის პრეზიდიუმმა ეს საკითხი დასასკვნელად გადასცა ქალაქის ბიუჯეტის ფინანსიურ კომისიას.

— **ალექსანდრეს ბაღი.** ტფ. გიმნაზიის წითელ არმიელების ცხოვრების გაუმჯობესების კომისიამ მიმართა ტფ. ქალაქის ადმასკომს თხოვნით, რომ ალექსანდრეს ბაღი გადავიდეს კომისიის გამგებლობაში, რათა ამ ბაღში მოწყობილი იქმნას სახალხო სეირნობა ღია სცენებით ყავახანით და სხვა გასართობებით. პირველ სეირნობის მოწყობას კომისია ფიქრობს 1 ლ მაის. უფასო ბუფეტით წითელ არმიელებისათვის.

— **ტფ ქალ. აღ. კომიტეტი.** ქალ. ადმასკომის მცირე პრეზიდიუმმა მოისმინა რა მოხსენება ქალაქის ფინანსიურ ბიუჯეტურ კომისიის თავმჯდომარის ამხ. თ. დლონტის, შესახებ კომისიის რეორგანიზაციისა დაადგინა, რომ მიენდოს მომხსენებელს შეიმუშაოს ცვლილებანი ფინანსიურ განყოფილებისა და წარადგინოს იგი ქალაქის აღ. კომიტეტის პრეზიდიუმის დასამტკიცებლად.

— **ხაჭართველოს ნავთსად. ურში.** 25 აპრილს ბათუმის ნავთსადგურში შემოვიდა 9 იალქნიანი ხომალდი 11,869 ფუთის სხვა და სხვა ტვირთით. დამის 12 საათზე 25 აპრილს ნავთსადგურში იდგა 5 გემი და 51. იალქნიანი ხომალდი.

— **ქურდობა.** დავიდოვის ქუჩაზე № 17. მოქალაქე დევდარიანის ბინაზე მოხდა ქურდობა საიდანაც მოპარულია 20 მილიონი მანეთის ნივთები სისხლის სამართლის აგენტების მიერ მიღებულ ზომებით ქურდი ალმოჩენილი იქმნა, ვინმე რეციდივისტი ბოუტინოვი რომლის ბინაზე იპოვეს დევდარიანის ყველა ნივთები.

— **შატახტიანის მაღაზიიდან,** რომელიც იმყოფება სიონის ქ. № 14. მორგებული გასაღებით ქურდებმა გაიტაცეს 14 ნაჭერი მანუფაქტურა და 7 კილო შაქარი. სისხლის სამართლის აგენტებმა მოპარული საქონელი სხვა და სხვა ადგილს იპოვეს და ალმოაჩინეს რომ ქურდობა ხდება ორგანიზაციულად მოწყობილ ავაზაკების მიერ მაგრამ ბბას ოღლის კარაპეტა აკოპიანის, ირზი-ხამედ ოღლის და იბრაგიმ მაჩერამ—ოღლის მეთაურობით ყველა ისინი დაფუსადებულია და ქურდობაშიაც გამოტყდნენ.

— **დიდი მთავრის ქუჩა 68 № ში** მცხოვრებ ფიდლერს მოპარეს სხვა და სხვა საბინაო ნივთები 40 მილიონ მანეთის ღირებულობისა. სისხლ ს სამართლის აგენტების მიერ შეპყრობილია ბუკმეინსტერი და სარკისოვი, რომელთაც ალმოაჩნდა ნაწილი მოპარული ნივთებისა.

სამხატვრო ქრონიკა

— **სახელმწიფო აკადემიური თეატრების მმართველობა.** ნ.მთავრობის ლოჟაში შესვლის უფლება აქვთ მარტოოდენ მთავრობის, ცენტრალურ ალმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს და ფედერალიულ კავშირის საბჭოს წევრებს.

გარეშე ამ პირთა მთავრობის ლოჟაში ყოფნა ყველასათვის აკრძალულია.

— **სახელმწიფო აკადემიური თეატრების მმართველობისაგან** ამა წლის პირველ აპრილიდან ყოფილი არტისტიული საზოგადოების ელექტრო სადგური გადმოეცა აკადემიურ თეატრების მმართველობას, ამიტომ 1 აპრილიდან ენერგიის ღირებულება შემოტანილი უნდა იქმნას აკადემ. თეატრების მმართველობის სალაროში.

1 აპრილამდე დახარჯული ენერგიის ღირებულება შეტანილ უნდა იქმნას „უეხის“ სალაროში. აკადემიური თეატრების მმართველობა ყოველივე ვარ დახმარებას გაუწევს უეხს ვალის აკრეფაში და უეხის მოვალეებს აუკეთებს ენერგიის მიცემას.

ქალაქ ანის ნანგრევები

სომხური გაზეთი „ნორკიანკ“ (ახალი ცხოვრება) მე-7 ნომერში სწერს:

„ანგორას მთავრობა ყარაბეჭირ ფაშის პირით გვპირდება, რომ ნებას მისცემს სომხებს, რათა შესძლონ ქალ. ანის ნანგრევების ნახვა მოწაფეთა ექსკურსიებს და სხვებს. განსაკუთრებით დიდათ საჭიროებს ანის ნახვას ტფილისის, ერევნის და სხვა ქალაქების ტეხნიკუმების მოწაფენი და უნივერსიტეტების სტუდენტები.

ქალაქ ანს აქვს დიდი ისტორიული მნიშვნელობა მთელ კავკასიისათვის; მეცნიერობის და ისტორიის მოყვარე ქართველი, რუსი და თათარი სტუდენტებისთვისაც ძლიან სასარგებლოა ანის ნახვა.

ჩვენ გვწამს, რომ ეს ექსკურსიები ანისაკენ და ბაგარიხისაკენ დიდათ ხელს შეუწყობს ჩვენი სოლიდარობის და მეგობრობის განმტკიცებას.

საქმის ინიციატივა ეკუთვნის საქართველოს და სომხეთის სახალხო განათლების კომისარებს, რომლებზედაც მინდობილია ახალგაზრდობის განათლების საქმე.

პირველ მაისის დღესასწაული

მოსკოვი, 27 აპრილი. სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების საბჭო წინადადებას აძლევს ყველა პროფ. ორგანოებს პირველი მაისის დღესასწაულისათვის იხელმძღვანელონ შემდეგი ლოზუნგებით:

1) საერთაშორისო ბურჟუაზიის ირაზმება ახალი შემოტევისათვის. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა—მჭიდროთ შეაკავშირეთ თქვენი რაზმები მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის განსამტკიცებლად.

2. კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ წითელ პროფესიონალურ ინტერნაციონალს გამარჯვებისკენ მიყავს მუშათა კლასი.

3. საერთაშორისო კაპიტალი ამზადებს ახალ ომს—პროლეტარიატი ამაზე საერთაშორისო რევოლიუციით უპასუხებს.

4. საბჭოთა რუსეთის ყველაზე უფრო საშინელი მტერი სიმშილობაა, ყველაფერი სიმშილობასთან ბრძოლისათვის.

5. წითელი არმია—აჯანყებულ რევოლიუციონურ შრომის არმიაა. მშრომელნო გაფფფფფფფ... არმიას.

6. პირველი მაისი—საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონურ ძალების დათვალიერებაა. რუსეთის წითელი პროფესიონალური კავშირები ამ დათვალიერების დროს პირველ რიგებში იქნებიან.

7. ამსტერდამის ყვითელი ინტერნაციონალი გენუაში ბურჟუაზიის დერეფანში და წინა კარებშია ატუზული. რევოლიუციონურ მუშებს საბჭოთა დელეგაციის სახით მაღლა უპირავს პროლეტარული დროშა.

8. მუშათა და გლეხთა კავშირი—საბჭოთა რუსეთის ძალაა. განვამტკიცოთ უფრო ძლიერად ჩვენი შრომის კავშირი.

9. ერთად-ერთ ძალად, რომელსაც შეუძლია ადადგინოს რუსეთის მეურნეობა, ისევ მუშათა კლასი რჩება,—ყველა ძალები გაპარტახების საწინააღმდეგოთ საბრძოლველად.

10. მუშებო, უფრო მჭიდროთ დაირაზმეთ თქვენს პროფესიონალურ კავშირების გარშემო.

პირველი მაისისათვის

ბრძანება

სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატის მიმართ № 159.

ქ. ტფილისი, 32 აპრილი 1922 წ.

ვაცხადებ რა ამასთანავე მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქარში და წითელ ფლოტში შესასვლელ საზეიმო აღთქმის ფორმულას, მშრომელი ხალხი საქართველოსა, მუშურ-გლეხური მისი მთავრობა და მე დარწმუნებული ვართ, რომ აღთქმის დიადი სიტყვები სამარადისოთ აღიბეჭდება საქართველოს წითელი ლაშქრის ყოველ მეუფროსის თანამშრომლის და წითელ არმიელის გონებამეხსიერებაში და შეიქმნება თავდები სულიერ სიმტკიცე სიძლიერისა გარდამწყვეტ ბრძოლაში კაპიტალიზმის მონობისაგან ჩაგრულთა და მშრომელთა საბოლოო გასანთავისუფლებლად.

ვბრძანებ: სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებების, ნაწილების და ერთეულობის უფროსებმა ყველა წითელ არმიელთ და თანამშრომელთ წითელი ფიცი დაადებინონ მშრომელთა ინტერნაციონალურ სოლიდარობის სადემონსტრაციო დღეს, ა/წ. პირველ მაისს, დადგენილ ცერემონიალის საერთო წესთან შეთანხმებით.

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე კუზნეცოვი.

შტაბის უფროსი, გენშტაბისა ბედევანიშვილი.

საზეიმო აღთქმის ფორმულა მუშურ გლეხურ წითელ ლაშქარში შესვლისას.

1. მე, შვილი მშრომელი ხალხისა, მოქალაქე საბჭოთა რესპუბლიკის, ვიღებ სახელწოდებას მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქრის მეომარისა.

2. საბჭოთა რესპუბლიკების და მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე მე ვალდებული ვარ ვატარო ეს სახელი პატიოსნად, კეთილსინდისიერად, შევისწავლო სამხედრო ხელოვნება და, ვითარცა თვალის ჩინს უპატრონო და შევინახო სახალხო და სამხედრო ქონება ზიანგაფლანგვისაგან.

3. მე ვივალდებულებ რევოლიუციონურ დისციპლინის სწორუცველელ დაცვას და მუშურ-გლეხურ მთავრობის მიერ დანიშნულ უფროსების ბრძანებათა განურიდებელ აღსრულებას.

4. მე ვივალდებულებ თავი შევიკავო და ავარიდო ამხანაგების ყოველგვარ საქციელს, რომელიც სცემს ღირსებას საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქისა და მთელი ჩემი არსებით, აზრით და მოქმედებით ვემსახურო მშრომელთა განთავისუფლების დიად მიზანს.

5. მე ვალდებული ვარ მუშურ გლეხურ მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე გამოვიდე საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის სადარაჯოზე ყოველგვარ განზრახვისა საწინააღმდეგოთ მის მტერთა მხრივ და მედგარ ბრძოლაში საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, სოციალიზმის და ხალხთა ძმობა-ერთობისათვის არ დავიშურო არც ძალა-უნარი ჩემი და არცა თვით სიცოცხლე.

6. და თუ ბოროტ განზრახვით განუდგები ამ ჩემს საზეიმო აღთქმას, დეე, მაშინ ხვედრი ჩემი შეიქმნეს ზიზღი ყოველთა მხრივ და დეე დავისაჯო მე მაშინ რევოლიუციონურ კანონის სამართლიან და მკაცრ ხელით.

პოლიტსამდივნოს მდივანი

დანელია.

მოწერილი ამბები

წერილი ოზურგეთიდან.

ალ. ჯორჯაძის 9 წლის გარდაცვალების თავზე 5 აპრილს, ქ. ოზურგეთში ამხ. ალ. კვირკველიამ პარტიულ კრებაზე, რომელსაც დაესწრენ თანამგრძნობები და სხვა პარტიის წევრები, წარმოსთქვა სიტყვა: „არჩილი, როგორც ქართველი ინტელიგენტი“.

ვინ იყო არჩილი? არჩილი მადლიანი პუბლიცისტი იყო; არჩილი ქართველი მოაზრე ფილოსოფოსი იყო; არჩილი ქართული ხელოვნების, ქართული თეატრის, ქართული მუსიკის, ქანდაკების გულშემატკივარი იყო... არც ერთ მის მოდვაწეობას ამ დარგში ამ ქვეყნათ მე არ ვეხები. მაინტერესებს სხვა რამ.

არჩილი ქართველი ინტელიგენტი სოციალისტი იყო. არჩილს საყურადღებო აზრები აქვს საზოგადოთ ინტელიგენციის და კერძოთ ქართველი ინტელიგენციის შესახებ. თქვენ იცით, რომ საკმაოთა ინტელიგენციის დეფინიცია, განმარტება, ამ კითხვასაც ახლა არ ვეხებით.. არჩილს ინტელიგენციად და ინტელიგენტად ის სწამს, ვისაც თავისი ინტერესები მშრომელი ხალხის ინტერესებთან გადაუწყვია. ინტელიგენტისაგან არჩილი მოითხოვდა გამსჭვალულ საზოგადოებრივი პრინციპების, არჩილის აზრით ინტელიგენტი ხალხის, ერს უნდა ეკუთნოდეს. ინტელიგენტის ლექსიკონში არ უნდა შედითოდეს სიტყვა „მე“, არამედ „ჩვენ“. არჩილის მწერლობის იმისი მრავალმხრივი მოღვაწეობის დაუშრეტელი წყარო ქართველობაა. არჩილს მუდამ თავისი დიდი ილიას სიტყვები „გლახის ნამბობში“: „სიცოცხლე ჩვენი, ძმაო, არც დედისა, არც მამის. იგი ქვეყნისაა. როცა მზე ამოდის ვარსკვლავები ადარ სჩანს“, „მზე“ სიმბოლოა ჩვენი მრავალტანჯულიკის, ვიღებ სახელწოდებას მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქრის მეომარისა.

2. საბჭოთა რესპუბლიკების და მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე მე ვალდებული ვარ ვატარო ეს სახელი პატიოსნად, კეთილსინდისიერად, შევისწავლო სამხედრო ხელოვნება და, ვითარცა თვალის ჩინს უპატრონო და შევინახო სახალხო და სამხედრო ქონება ზიანგაფლანგვისაგან.

3. მე ვივალდებულებ რევოლიუციონურ დისციპლინის სწორუცველელ დაცვას და მუშურ-გლეხურ მთავრობის მიერ დანიშნულ უფროსების ბრძანებათა განურიდებელ აღსრულებას.

4. მე ვივალდებულებ თავი შევიკავო და ავარიდო ამხანაგების ყოველგვარ საქციელს, რომელიც სცემს ღირსებას საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქისა და მთელი ჩემი არსებით, აზრით და მოქმედებით ვემსახურო მშრომელთა განთავისუფლების დიად მიზანს.

5. მე ვალდებული ვარ მუშურ გლეხურ მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე გამოვიდე საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის სადარაჯოზე ყოველგვარ განზრახვისა საწინააღმდეგოთ მის მტერთა მხრივ და მედგარ ბრძოლაში საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, სოციალიზმის და ხალხთა ძმობა-ერთობისათვის არ დავიშურო არც ძალა-უნარი ჩემი და არცა თვით სიცოცხლე.

6. და თუ ბოროტ განზრახვით განუდგები ამ ჩემს საზეიმო აღთქმას, დეე, მაშინ ხვედრი ჩემი შეიქმნეს ზიზღი ყოველთა მხრივ და დეე დავისაჯო მე მაშინ რევოლიუციონურ კანონის სამართლიან და მკაცრ ხელით.

პოლიტსამდივნოს მდივანი

დანელია.

ლი სამშობლოის „ვარსკვლავები“ ჩვენ ვგრთ, თითოეული ქართველი. როცა ჩვენი „მზე“—სამშობლო საფრთხეში, ჩვენ ქართველებს გვმართებს დავიწყება თავისი ინტერესების, თავისი ტკივილების და ეგოისტების ზრახვების. ჩვენ სამშობლოს სამსხვერპლოზე ჩვენი თავი სრულად უნდა მივიტანოთ. ბევრი ქართველი ინტელიგენტი სჩადის და შესძლებს ამას დღეს?.. არჩილის თვალსაზრისით რომ მივუდგეთ თანამედროვეროვნულ ინტელიგენციას, გაუწევს კრიტიკას?.. კითხვის სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ღიათ ვტოვებ.

არჩილი უპირველესათ ყოვლისა პატრიოტია, მერე სოციალისტი და შემდეგ რევოლიუციონერი. არჩილს პატრიოტიზმიდან გამოჰყავს სოციალიზმი და სოციალიზმიდან რევოლიუციონერობა. არჩილის აზრით ჭეშმარიტი პატრიოტი, ჭეშმარიტი სოციალისტი და უდრეკი რევოლიუციონერი უნდა იყოს.

პატრიოტობა, არჩილის აზრით, სოციალისტობით მტკიცდება ⁄ რევოლიუციით ნაღდდება. ყველას, ვისაც კი სწამს პარტია უნდა სწამდეს სოციალიზმი და უნდა იყოს რევოლიუციონერი... აი ეს გვიანდერძა დიდმა მოძღვარმა..

დავიმახსოვროთ და ღრმად ალებეჭდოთ ჩვენს გულში: სამშობლო, სოციალიზმი, რევოლიუცია და ამისა მწუხარებისას თუ განსაცდელისას, დეი, გვამხნევებდნენ ეს წმინდა ლოზუნგები.

მაშ, ამხანაგებო, სამშობლოსაკენ, სოციალიზმისაკენ და რევოლიუციისაკენ.

№

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს შესახებ.

1. კოოპერაციის ყოველი სახის განვითარებისა, კოოპერატივების რეგისტრაციისა და კოოპერაციის მოქმედების საერთო მეთვალყურეობისათვის, დაარსებულ იქნეს საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო.

2. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო არსებობს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან.

3. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დაეკვალება:

ა) გაერთიანება და კოორდინაცია როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ ყველა იმ ორგანოების მოქმედებისა, რომელთაც კავშირი აქვთ კოოპერაციასთან;

ბ) შემუშავება დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტებისა, გამოცემა ცირკულიარისა და ინსტრუქციისა და დასკვნის მიცემა კოოპერატიული ორგანიზაციებისა და სხვა სათანადო დაწესებულებათა მიერ—კოოპერაციის შესახებ—შემუშავებულ კანონდებულებათა პროექტებზე;

გ) წარმოება რეგისტრაციისა როგორც პირველადი, ისე სარაიონო და ცენტრალური კოოპერატიული გაერთიანებული ორგანიზაციებისა;

დ) განხორციელება „საერთო კონტროლისა—ხელისუფლების ცენტრალ ორგანოთა მიერ კოოპერაციის დარგში გამოცემულ დეკრეტებისა და დადგენილებათა და სამმართველოს ცირკულიარების და ინსტრუქციების შესრულებისათვის;

ე) ხელის შეწყობა კოოპერაციის ყოველი სახის განვითარებისა და მისი მოქმედების სფეროს გაფართოებისათვის.

4. კოოპერაციის შესახებ ამა თუ იმ სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ყოველი დეკრეტისა და დადგენილების პროექტი არ შეიძლება შეტანილ იქნეს სახალხო კომისართა საბჭოში, თვინიერ საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დასკვნისა.

5. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო შესდგება: ა) კოლეგიისაგან, რომელშიაც შედის: სასურსათო სახალხო კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და კოოპერაციის წარმომადგენელი: თვითეულ წარმომადგენელს დაენიშნება მუდმივი მოადგილე. (კოლეგიის თავმჯდომარეობის ერთი წევრთაგანი უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დანიშნულებისამებრ) და ბ) სამუშაო აპარატისაგან, რომელსაც შეადგენს საქმეთა მმართველი და მისი კანცელარია; კანცელარიის შტატს დაამტკიცებს უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

6. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დადგენილება, მაგალითად კოოპერატიული ორგანიზაციების რეგისტრაციის უარყოფის გამო, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში, რომლის გადაწყვეტილება განსაჩივრებული საკითხის შესახებ საბოლოოა.

7. ამა დებულების განვითარებისა და განმარტებისათვის, საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო უმაღლეს ეკონომიური საბჭოს დასტურით გამოსცემს ინსტრუქციას და სახელმძღვანელო ცირკულიარს.

8. ამა დებულების გამოქვეყნების დღიდან, გაუქმებულია სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლ. კომიტეტის მიერ კოოპერაციის შესახებ მე-14 №-ით გამოცემული დადგენილების დანართი (დებულება საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს შესახებ.).

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. **ქავთარაძე.**

სასურსათო სახალხო კომისარი **ა. ერქომაიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 25.

ტფილისი-სასახლე.

—

ბრძანება № 2

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

დამატებად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ამა 1922 წლის აპრილის 13-ს თარიღითა და № 4-ით გამოცემულ ბრძანებისა, ამით წინადადება ეძლევა ყველა სამეურნეო, საბჭოთა დაწესებულებათ და კერძო წარმოებათ—განმეორებით მისცენ ამ დაწესებულებათა მოსამსახურეთაგან ხაქართველოს წითელ არმიაში პოლიტიკური მუშაობისათვის მობილიზაციით გაწვეულ პირთა ოჯახებს ერთდროული დახმარება თვითეულ ოჯახს ხუთასი ათასი (500.000) მანეთი სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის ანგარიშში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. **ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 26.

ტფილისი—სასახლე.

ვალერიან გუნია

(მისი 40 წ. სასცენო მოღვაწეობის გამო)

ვალერიან გუნია—დიდი სახელია ქართულ თეატრის ისტორიაში.

ძნელია საერთოდ ამისთანა დიდი ადამიანის დაფასება და მერე ისეთ მძიმე პირობებში როგორც ჩვენ ვიმყოფებით ამ ჟამად. ვალერიან გუნიას ნაღვაწი ისეთი დიდია და მრავალმხრივი, რომ იგი უჩუმრად არ უნდა ჩატარდეს.

წელს აპრილის 27-ს ვალერიან გუნიას შეუსრულდა ორმოცი წელიწადი რაც იგი მოღვაწეობს ქართულ სცენაზე.

შეიძლება ნიჭით მასზედ ქართულ თეატრის ისტორიაში სხვები მაღლა იდგნენ, მაგრამ შრომით, თვისი ნაღვაწით ვერც ერთი ქართულ თეატრის მოღვაწე ვერ შეედრება, ჩვენ ამით ის არ გვინდა ვთქვათ, დიდ შრომასთან ვალერიან გუნიას დიდი ნიჭი არ ჰქონდეს. პირიქით მისი სასცენო ნიჭი ბევრნაირად მძლავრი და ზვიადი არის, მაგრამ ვალერიან გუნიას უპირატესობას სხვაზედ ჩვენ ვხედავთ დიდ სასცენო ნიჭთან ერთად დიდ უნარს შრომისას და ენერგიისას და მართლაც ამ მხრივ ვალერიან გუნიას საქმიანობას რომ ვუკვირდებით ზე ადამიანური გამოდის.

ამა ყური დაუგდეთ მის მოღვაწეობის ზოგიერთ სტატისტიკურ ცნობებს: „1882 წლიდან დღევანდელ დღემდე ვალერიან გუნიას უთამაშნია 370 სხვა და სხვა სახელისა და ხასიათის პიესები, ხოლო სხვა და სხვა როლების რაოდენობა აღემატება პიესების სიმრავლეს, დაუწერია, გადმოუკეთებია და უთარგმნია 65 პიესა; მათ შორის ნათარგმნია 25 პიესა, ორიგინალური და გადმოკეთებული კი—40. საოცარია სასაოცარი, რომ გამოვიანგარიშოთ, ჰონორარის სახით, მას უნდა მიეღო ზელიწადში დღევანდელ დროის მიხედვით, ათასი მილიონი, მაგრამ ვალერიან გუნიას 40 წლის განმავლობაში ერთი კაპეიკიც არ მიუღია“.

ამ მხრივ ყველაზედ დიდი მსხვერპლი გაიღო ვალერიან გუნიამ.

იგი ნამდვილი დიდი მოგვი იყო თავისი ტაძრისა.

გაჭირვების ტაძლვეისი და „დინამო მაშინაც“, სულიც და გულიც, შთაგონებაც და ალმაფრენაც. მსახიობმა ყველაფერი დაივიწყა, უარყო ყოველივე პიროვნული, დაჰგმო თვისი „მეობა“ იმ დიდი აზრის გულისთვის, რომ დიდ საქმეს დიდი მსხვერპლი ეწირებოთ.

და მართლაც ვინ იყო ან რა იყო ვალერიან გუნია ქართულ თეატრისთვის.

მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, მთარგმნელი, რეკვინზენტი, ადმინისტრატორი.

და ნურავის გვონიათ, რომ ვალერიან გუნია ერთში ძლიერი, მეორეში სუსტი იყო.

ვ. გუნიას ყოველივეში ერთი სასწორი ჰქონდა გამართული. ერთს მისხალს არაფერს დაკლებდა და არაფერს გადაჰარბებდა. ყოველივე ერთი მეორესთან შეზომილი და შეთანხმებული, თითქო მეტრომატიკური სასწორით ყოფილიყოს ნაგრძნობი და დამტკიცებული.

ვალერიან გუნია — როგორც მსახიობი!

ამ სიტყვის ხსენებაზე თვალწინ წარმოგიდგებათ მისი არტისტიული მასკა. ცივი გაყინული მადალი შუბლი. დაჭეშული ნაკვთები. ზვიადი გამოხედვა, მშრალი სახე, მაგრამ უეცარი განათება, თითქო ციცხლის ალმა გადურბინაო. ბრგე წამოსადეგი ეკეკლეცი. დიდი ტემპერამენტით. რკინის ძარდვებით, თვალ ლეს არა—წინად მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში დაფლეთილ ძარღვებს ვერ შეეძლოთ იმის გაკეთება—რის გაკეთებაც ვალერიან გუნიამ შესძლო.

ჩვენ რომ ჩამოვთვალოთ ვ. გუნიამ რამდენი როლი შეასრულა, როგორ შეასრულა, რა ხასიათი, რა თვისება შეიტანა ამა და ამ ტიპის განსახიერებაში ერთი სვეტი კი არა მთელი გაზეთი მოგვინდებოდა.

მოკლედ რომ ვსთქვათ ვალიკო გუნიას საქმე ყველა ახალგაზრდა მსახიობს მისაბაძ მაგალითად უნდა ჰქონდეს თვალწინ. ისწავლონ ვ. გუნიასთანა შრომა და პატივისცემა ხელოვნებისადმი, ისე როგორც ეს იცოდა ქართულ თეატრის ფიდმა ჯენტლემენმა.

ერის კულტურას ვალერიან გუნიასთანა ხალხი ჰქმნიან.

ასეთი ადამიანები ყოველთვის მოუწოდებენ მაღალ მიზნებისთვის საბძოლველად და ადამიანის ცხოვრების ფერებულების ერთი ორად აორკეცვაზე.

სამაგიეროდ ხალხმაც უნდა დაფასოს ასეთი გმირების ღვაწლიც.

დღეს რუსთაველის თეატრში მისი საღამოა.

ვალერიან გუნიამ ამის შესახებ ნაღარა არ დაჰკრა. მას არ უყვარს ზეიმი. იგი მდუმარ უჩუმრად აკეთებს თავის დიდ საქმეს და ასეთ ადამიანისადმი ყველას გვმართებს პატივისცემა.

ვ. ზ.

გრიგოლ რობაქიძის „ლონდა“

ბლოკმა სთქვა: „უმუსიკო სულით“ შეუძლებელია გაგება თანადროულ მოვლენების.

ეს დებულება იღებს სავრცელებელ განმარტებას. მოვლენანი და, განსაკუთრებით, მოვლენანი ხელოვნებაში, თხოულობენ, მათი თვითარსის ფილოსოფიური შეგნებისათვის, მათი სულისათვის, ასეთს „მუსიკალურს“ მიდგომას.

თუ თქვენ არა გაქვთ „სულში მუსიკა“, ნუ მიხვალთ „ლონდასთან“, არა თუ არსი, სული,—მისი ფორმაც, მისი შენებაც, დარჩება თქვენთვის მიუწვდომელი, ვინაიდგან იგი მუსიკალურია, როგორც თავის არსით, ისე თავის კონსტრუქციით. ამბობენ: გრ. რობაქიძემ ფუგას პრინციპებზე აგო თავისი მისტერიაო. ეს ასე არ არის და არც შესაძლოა იყოს ასე. ფუგა შეერთებაა რამოდენიმე ხმის, მათი თანახმიერება, შეწყობილობა, ასე წოდებული მუსიკალური კონტრაპუნქტი, ხელოვნება ხმათაჰენის. ასეთი თანახმიერება, ასეთი კონტრაპუნქტი პოეზიაში შეუძლებელია არსებითად. ერთი უძლიერესი მეტყველება მუსიკოს-პოლიფონია პოეზიაში იქცევა კაკოფონიად. პოეზია უშვებს მხოლოდ ერიგობას სახეთა და მზნეებათა დროში,—და მხოლოდ შთაბეჭდილებანი მოგვან შესაძლოა ამოვისებულის სულში ერთდებოდნენ და ისხმებოდენ რომელიღაც სულიერ კონტრაპუნქტში განსაკუთრებით მის სულში, ვისაც აქვს სმენა, ვისაც აქვს „მუსიკა“.

„ლონდა“ ეს არის ფუგა, მაგრამ იგი უთუოდ არის მუსიკალურ შენებული თავისი გარეგანი სტრუქტურით, ნაწილების რიგდენით, იგი შესაძლოა იყოს მზგავსი ორატორიის ფორმის. ხოლო „ორატორიის“: მოწურულის, ლაკონიურის, გაქანებულის კატასტროფიულ ფინალის მიმართ.

როგორც ორატორია, იგი შესდგება გუნდებისგან, ძლიერი ნომრებისა და ანსამბლებისაგან. დამახასიათებელია მასში გუნდური საწყისი. მუსიკალური, გუნდური ხასიათი შესავალი ხალხური სცენის მეტის მეტად რელიეფურია: შვიდი კონცენტრიული რკალი, თვითეული შვიდი რგოლით, საერთო ფინალში გადასული. ეს ხორალის ფორმას უახლოვდება. ხლეპარი მოშაირე ოთარის არის ტიპიური არია. ლონდას გამოსვლა—ვიოლონჩელის მელოდია. შემაერთებელი სცენები tutsi

მუსიკალობა მთავარის, მოამბის და ხალხის (გუნდის) სცენის უცილოა: მკვეთი, ჰისტერიული, ძალზე მინორული ფრაზაში მოამბის, ყრუ რეზონანსი გუნდის, და მათზე ძალოვანი, როგორც საყვარამის ძახილნი, მეორეული სიტყვები—და ყველა ეს სასტიკ მუსიკალურ, ფორმალ-ანსოლუტიურ, ხმიერისა და ფსიქოლოგიური არქიტექტონიკის რითმიულობისა და სიმეტრიულობაში გაყვანილი. შთაბეჭდილება ამ სცენიდან უდიდესია: მეტყველი ძალის მიხედვით, ეს უმაღლესი მომენტია პიესის. ბოლოს: მკვეთრად მოხეთქილი ფინალი პიესის არ შეიძლება არ იქნეს თვისებული როგორც მეხური აკორდი მთავარის სიშინდლეების დომინანტით, აკორდი გაუხსნელი, როგორც ეს გაიგო მოდერნიზმის მუსიკამ.

პიესის ორიგინალური სახე მჭიდლდება მისტერიის ხასიათშიც, მის რელიგიურ პათოსში. მაგრამ თუ ორატორია—როგორც ფორმა სასულიერო, ქრისტიანული, უმთავრესად კათოლიკური, მუსიკა თვისი კონსტრუქციით გვირგვინდება ბრწყინვალე ეპოეთეოზით უზენაეს ძალთა საერთო დიდებით, „ლონდას“ ფინალი ტრაგიულია. ეს—შეცარი, კატასტროფიული მოწყვეტა. მართლაც: ორატორის ფინალი—სწრაფვაა ცისკენ ლონდას ფინალი—ჩავარდნაა უფსკრულში. ორატორიის ფინალი—ოსანა მაღალთაშინაა, ფინალი „ლონდა“-სა—მოქმედი, გამომსყიდველი თავდადებაა სასიყვარულო სიკვდილის, ქორწინება—თვითმკვლელობის, სამსხვერპლო თვის ბზალხის შეერთებას ერთიან სიკვდილში. მოალბობს ეს თავდადება მარისხანე ღვთაებას, თუ იქნება ოსანა ამ სიკვდილის;—ასეთ „კათოლიკურ“ ეპოეთეოზს პიესა არ იძლევა.

ამ თავდადებაში ანტიური კათარზისია მხოლოდ. ეს მისტერიაა: პიესაში უკვე შეკრილ ალნიშნულ რელიგიურ ფათოსით, იმ მისტიურ ბედითი დამოკიდებულებიდან მრისხანე და იდუმალ ძალებისაგან—რომელთა ფრთების გავლენის ქვეშ ეძიებენ თავის ხეუკეთესო ხატულებას, სიყვარულის სათუთ ლირიკა, მოვალეობის მკაცრი შეგნება და მორჩილება სამსხვერპლო განწირულებისადმი.

სურნელოვან, გაზაფხულის, ნაყარით მიდის ხვეული მოლუშული, მისტიურ საშ ნელოვნის შორის, ნორჩი მელოდია ლონდასი—ოსანა ქალწული სულით.

მისტერიის ძალას ბრალის ისიც, რომ იშლება ისეთ მოვლენათა ფონზე, რომლებიც ამძიმებენ თანაბრობას. ვვალვა, სიმშილი, იწვეება აყვავებული მხარე, ისმის კვნესა ტკიცაზე შემცდართა და მომაკვდავთა, და ყოველი ახალი ცნობა—ცნობა, საშინელი, ახალი საშინელი წამებაა. მრისხანე, დრო „სიგიჟის და საშინელების“ როცა „წინასწარმეტყველი სიტყვები, რომელნი სიძულვილი ჩვენულებრივია,—საშინელ ფორმულ კრძალვენ [illegible] გამოხატვაზე.

[illegible] ასანა ჩვენ წინაშე ინტუიციურ ქვრ[illegible] ის საუცხოო ძალა, რომელიც [illegible] პოეტურ შემოქმედების უაღრეს [illegible] შაფლობაში, როცა პოეტის სიტყვით „სიმართლეს ნახულობს [illegible] ლებაში შეცნობის ის ძალა, [illegible] მძლავრია, ვიდრე მეცნიერული [illegible] რიები (ის რამაც ვერ [illegible] ციცხლის სასტიკი გამოცდა) [illegible] ინტუიციის ძალა, შემოქმედებითი [illegible] ხილვა, რომელიც ოდესღაც იყო [illegible] ტიო, შემდეგ კი დამოთავრებული [illegible] დახშული წმინდა, პოზიტიურ მეცნ[illegible] რებათა მექანიკურ ფორმულებით. [illegible] მინდა გავიყვანო პარალელები და [illegible] დარო რამეს მასშტაბით და წონაკუთ[illegible]

მე ვიღებ ნათელ მაგალითებს, [illegible] ლებიც პირველად იტალიელები [illegible] ურ დანტეს „Comedia“-ში ხედ[illegible] იტალიის გაერთიანებას მე-6 [illegible] შემდეგ, il gran veltre-ში კი გამ[illegible] ანგელელ მეფეს ვიქტორ ემანუელს. [illegible] რონმა თავის Age of Bronze (ბრინ[illegible] ოს საუკუნეში), რომელიც არ [illegible] ცნობილი. მოსკოვზე წარმოთქვა [illegible] დეგი სიტყვები:

(Ты будешь столь одна, без соп[illegible] ников, до того грядущего огня, в к[illegible] тором погибнут все империи).

დოსტოევსკი, რომელმაც შეგვრ[illegible] სთქვა ფლეანდელ რუსეთის შესახ[illegible] თავის „Велики„ Инквисизор“ ⁄ „Б[illegible] сы“-ში. ვლ. სოლოვიოვი, რომელმ[illegible] ლექსებში დაინახა იაპონიასთან ომი [illegible] იხილა „ყვითელი ბავშვები“ ალმ.ასავ[illegible] ოდან. პუშკინ, რომელმაც მოლიმ[illegible] მანერით წინათ იგრძნო, განათლებ[illegible] ახალ საზღვრებთან თუ როგორ:

„... по расчислении
философических таблиц,
Лет через пятсоть дороги верно
У нас изменятся безмерно...
И заведет прощеный мір
На каждой станции трактат.

ასეთი მაგალითების მოყვანა არ ან[illegible] ძნელი, და რწმენა პოეტურ წინ[illegible] ში, არ არის რწმენა სასწაულში.

1911 წელში მოფიქრებული და 191[illegible] წ. დაწერილი „ლონდა“, არის განსვ[illegible] ტა იმ მომავალ დღეების, რომლ[illegible] შიც მოუხდა მას რამპას ხილვა. [illegible] ჩვენ განვიცდით ავადმყოფურ, ამ[illegible] ეებელ თანახმიერ გრძნობით, მას—[illegible] შორი დღეების საერთო ტრაგედიას.

არ იყო საჭირო მისი კონკრეტიზ[illegible] ცია დროში და სივრცეში, იგი მათ გ[illegible] რეშია და გვაგონებს სიტყვერულის [illegible] გამოსყიდვის წმინდა თავდადებას, [illegible] ყვარულის და სიკვდილის ტკბილ [illegible] შირს. საკმაოა ის კონკრეტიზაცია, [illegible] მელიც მოცემულია საერთოდ ალმოსფ[illegible] რაში: კერპთაყვანისმცემლობის შეთ[illegible] ხმებაში ქრისტიანობასთან, რომლის [illegible] ნნელებაც უკვე გაბნეული იყო ჰაერში [illegible] იმ სინტეზში, რომელიც ჩაისახა მცირ[illegible] აზიის სიღრმეში.

ტრაგედია—მისტერიის სული დაბ[illegible] თულია მის ლიტერატურ ენაში: მასშ[illegible] არის ის უპირატესობა და მასთანვე [illegible] უბრალო ძალოვანი სიძლიერე, რომ[illegible] ლიც ასე ეთანხმება მის მონოლიტურ [illegible] ლაპიდარულ ფორმებს. თავიდანვე ვ[illegible] დრე ძლიერი ფინალურ აკორდის [illegible] კატასტროფიულ დარტყმით დასრულდ[illegible] ბოდეს, იგი—მაყურებელი იმყოფებ[illegible] დრამატიულ განყოფილებებში, რომ[illegible] ლიც მომენტებში ადის უმაღლეს შ[illegible] ლონებამდე.

[illegible] მინიმენტალურ ფორმებისათვ[illegible] მცირეა სცენა სამხატვრო—რევოლიუ[illegible] ციონურ თეატრის.

ბაგრამ რეჟისორი მარგარიტიევი თ[illegible] ვის ამოცანას „როგორც მზე პატარ[illegible] ნავში“ პრინციპით დიდი ხელოვნები[illegible] სძლევს ცენტრალური დრამა მაინც ხ[illegible] ლხური სტიქიურ უბედურების დრამა[illegible] რომელშიაც ჩემი გაგებით—მეფის ცოლ[illegible] ლამაზის და ლონდას სიყვარული და სი[illegible] კვდილი გადის როგორც ნათელი [illegible] ზოდი, სწორედ როგორც ეპაზოდ[illegible] მთავარი ძალა მასაშია, უკანასკნელი [illegible] სავსეა სიცოცხლით, მასში არის მთ[illegible] დვაეება და უკუ ქცევა, დარტყვინა [illegible] ჩაქრობა ალეფლებულ ხოროსის სტიქ[illegible] ისა.

დრამის ჩქარი ტემპი, ეს გრიგალი [illegible] ხვეული უეჭველად მოცემულია.

ფილოსოფოსის დიალექტიკურ ფოლ[illegible] დით წათლილ სილოგიზმებს, გრიგოლ[illegible] რობაქიძემ თავის მისტერიით დაუმტ[illegible] შესანიშნავ დრამატიულ პოეტის დიალ[illegible] ცოცხალი სულის ფალვილი ფეთქა.

ვ. ანანიანი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტ[illegible]